

შინაური საქმეები.

✎ ყოველ-კვირული გაზეთი ✎

№ 37.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მესხეთე.

კვირა, 28 ოკტომბერი 1912 წელი

ყოველ-კვირული გაზეთი

შინური საქმეები

ხელის მოწეის მიღება (რედაქციაში, ქ. ქუთაისში საბუთაოდო—კახკაგვის შუბის და თბილისში გამომცემელთან სომხის პაზარში, სომხისანის შუბის მდგაზაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 მანეთი.
ნახ. წლიური:	2 მანეთი.	სამე თვე:	1 მანეთი.
		ერთი თვე:	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულს შემოტანა წლიურ ზღვის მოწეითაფის შეიღება ასე განაწილდეს: თვიდან 2 მ. და 1 ოენსი 2 მ. განსაზღვრებას ფასი წინა კვირებზე პეტრით სტრიკონი ორი შაური, უკანსკელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შანაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1. ომი—იათეობისა; 2. სიტყვა 23 კვირიაკესა; 3. სიტყვა წილენის ეპისკოპოსის იოანესი; 4. ნაყოფიერი ბალი—მღ. იოანე ლუკიანოვისა; 5. იმერეთის ეპარქიის ბლალაჩინთა საყურადღებოთ—კომიტეტის წევრისა; 6 კრიტიკა. ეკატერინე გაბაშვილისა—ხომლელისა; 7 ვარლამ ლევანის ძე გელაფანი, ახალი სახელმწ. სათათბიროს დებუტატი — საბლალაჩინოს მღვდელთაგანისა; 8. ორი წერილი ლეჩხუმიდან—მღვ. იოანე თავგაძესი და ლაილაშის საბლალაჩინო მღვდელთაგანისა; 9. პასუხად ჩემს მკაცხავეებს—ბლ. მღვ. დ. სუხიაშვილისა.

ახალი ჟურნალი

„განთიადი“

1913 წლის პირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველთვიური ჟურნალი

„გ ა ნ თ ი ა დ ი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ლეთის მეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მოზიხილეა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბი-

როს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამძღვარე თვის უკმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე თასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო საშკითხველოებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თვის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთათ და 10 შაურათ ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშვილის და აშხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური თასის გადახდა ნაწილნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

რედაქტორ-გამომცემელი მღ. ს. მჭედლიძე.

ომი.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც იტალია-სათათრეთს შუა ომი ასტყდა, ეხლა ეს სენი მთელ ბალკანეთის წერილ სახელმწიფოებსაც მოედვა და არის აურაცხელთა ქლეტა აწიოკება. ეს მოვლენა გარეშე მაყურებელ ერებს; არამც თუ აწუხებს და აღელვებს, არამედ თითველ ვაზეთის მოტანილ ამბავს ელექტა-ხოცივისას სიხარულით ეგებება. კაცობრიობა, იმის მაგიერ რომ წინააღმდეგეს ასეთ არა ადამიანურ მოვლენა-ბოროტებას, პირიქით იმის ცდაშია ხელი შეუწყოს ომს და გააღიზიანოს ჯერ ომში ჩაურეველი ერებიც, რათა ომის ალი მთელ ქვეყანას მოსდევას: ვერცერთი ხალხოსნობა ვერ დაიხმებს მას, რომ მას ომის საწინააღმდეგოთ რაიმე აქტიური წინააღმდეგობა გაეწიოს, პირიქით კაცობრიობა სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ომი მტერი სას-

ტიკი, მუსრ-გამვლები და დამაქცველი შეიქნეს; ამის დამახასიათებელ-დამასურათებელად აქ მოვიყვან ერთ ნაწყვეტს დიალოგისას შოუს დრამიდგან: „განა კაცი, მთელი თავისი ნაქები ქკუა-გონებით, არ იღუპავს თავს? გივლიათ თუ არა თქვენ, ქვეყნიერობაზე? მე კი საკმაოდ ვიხეტიალე სხვა და სხვა ქვეყნებში, დავათვალიერე ყველა საკვირველებანი კაცის შემოქმედების და გაზედულად შემოძლია გითხრათ, რომ ხელოვნებაში, რომელიც სიკოცხლეს ჰბადებს და აღორძინებს, კაცს ბევრი არაფერი გამოუგონებია, მაგრამ ხელოვნებაში, რომელიც სიკვდილს გვაწვდის, კაცის შემოქმედება თვით ბუნებას აღემატება. თანამედროვე მოსახლე, სვამს და სკამს ისე, როგორც სვამდენ და სკამდენ მისი წინაპრები ათასი წლის წინეთ; მისი საცხოვრებელი ბინაც ნაკლებ გამოცვლილია, ვინემ ქალის ქული, უკანასკნელ ორ-სამ კვირაში. — მაგრამ როდესაც კაცი გამოდის სასიკვდილეთ მაშინ კი იჩენს სასწაულებს შეხანიკურ ხელოვნებაში, რომელიც თითის მიხლოვებისთანავე იფეთქებს და იჩენს ყოვლად საკვირველ დამაქცველ და მომსპობ ძალას, რითაც დიდ მანძილზე უკან სტოვებს მამა-პაპათა მშვილდ-ისარს. მშობლობან ხელოვნებაში კაცი ვერაფერი შევლია: მე ფნახე მისი ბაბბის საქსოვი ქარხნები და სხვა და სხვა სამრეწველო მანქანები, რომელიც შეეძლო გამოეგონებია ყოველ გაუმძღარ ძალს, თუ მას საკმლის მაგიერ ფული დასტირებოდა. სამრეწველო მანქანების გამოგონებაში გამოსქვივის კაცის გაუმძღრობა და მოუხერხებლობა, ხოლო საკლოვ იარაღების გამოგონებაში მისი სული და გული; ასე რომ, კაცის ძლიერების გასაზომადეთ, დღეს მისი დამაქცველობითი ნიჭია მიღებული“.

რა არის ამის მიზეზი, რომ ომი, თუმცა ყველასაგან ბოროტებათ არის ნაცნობი, მაგრამ თავყანისმცემელი და წამხალისებელ-ხელის-შემწყობი ბერი ჰყავს და არც ისე გვალონებს და გვაწუხებს მისგან მოვლენილი უბედურებანი?

ამის პასუხს, ცოტათ თუ გვერათ, გვამ

ლევს ჯერეთ დაუბეჭდავი წიგნაკი დაიმონდისა. „—კაცი, ამბობს ავტორი, რომელიც ცეცხლებრივ აღენთება გზაში ერთ მოკლულ მგზავრის ამბავის გაგონებაზე, გულგრილად და აღუშფოთებლად ისმენს ომში ათას და ათი ათას მოკლულთა ამბავს. კაცს, რომელსაც ერთუნტელი უელის ტანში, ერთი მოკლულის უგრძობ გემის დანახვაზე, აუთრობლებლად უყურებს, ომში მოკლულთა და დასახიჩრებულთა გროვებს, რომლებითაც მოფენილია ხოლმე ომის ველი. დღიური გაზეთები, სულ უბრალო და უმნიშვნელო წერილმანამდის, აგიწერენ ერთეულ მკვლელობის ამბავს, მოგიყვანენ საქმის ყოველივე ვითარებას, პოეტურად აგიწერენ და დაგისურათებენ მკვლელის მხეცურ მოქმედების შედეგს. გამომცემლები არ ზოგვენ არავითარ შრომას, მისთვის რომ მოკლული შეგებრალონ, ხოლო მკვლელისადმი ზიზილი და წყევა გამოიწვიონ და თანაც დასძენენ: ბოროტ მომქმედი ღირსია სასტიკ სასჯელისაო; მაგრამ იმავ გაზეთში, გამომცემელი იჩქარის გაუზიაროს მკითხველს, ახლად მოსული ამბავი ომის ველიდგან, რომელიც მდგომარეობს მაში, რომ მტერი ძლეულ იქმნა და ფიცხელ ომში დასტოვა ბრძოლის ველზე 850 მკვდარი და რამოდენიმე დასახიჩრებული და დაქრილი.

განა ეს მეორე ამბავი 850 ჯერ მეტი სატირალი და სამწუხარო არ არის?

სჩანს, რომ ასე უნდა იყოს, მაგრამ პირველი გაზეთის ნამცნობი ამბავი ჩვენ გვაწუხებს, ხოლო მეორე კი გვახარებს და სიბრალულსაც არ იწვევს. ეს შეუგუებლობა და შეუთანხმებლობა-შეუწონელობა ფაქტებისა და მათგან გამონაწვევ გრძობებისა, ეს თანაგრძობა ერთეულებისადმი და ზურგის შექცევა ათასეულებისადმი, ისიც შენებრივ ადამიანებისადმი ძლიერ განსაცვიფრებელ და გამოსაცნობ მოვლენას შეადგენს ზნეობრივ გრძობათა სამფლობელოში. ინდუსელების ჩვეულებას, რომელიც ითხოვს დაწვას ცოლისას მის ფერფლად ქცეულ მკვდარ ქმრის სხეულთანვე, განცვიფრებაში მოყვავართ და ჩვენში გულახდილ თანაგრძობას იწვევს ამ უბრალო და უდანაშაუ-

ლო მსხვერპლისადმი, ჩვენ ესწუხვართ იურიდიულ სასჯელის სისრულეში მოყვანის დროს და შინაგანი საწინააღმდეგო გრძობით ვცახცახებთ და ვფიქრობთ, რომ სიციცხლე, თავისთავად, როგორც ინდუსის ქალისა, ისე კანონით დასჯილისა, პირველხარისხოვანი—პატივსაცემი ნივთია. მაგრამ კანონის დებულების და სიველეურის წინაშე გულხელ დაკრეფილი დგებარ...

აი ამ დროს საჭიროა, ერთი წამით შევფიქრდეთ და ლოდიკურად ვამუშაოთ ჩვენი აზრები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს ერთეული მკვლელობა, არაფერია, წვეთია ზღვაში, იმ სხვერპლებთან შედარებით, რომელსაც იტაცებს ომის ველი.

რუსეთში ნაპალეონის შემოსევის დროს, დღეში საშუალო რიცხვით 2200 კაცი აკლდებოდა მეომართა რაზმს და მისს სახლის კერას. და მერე რაგვარი სიკვდილით ესალმებოდენ ეს საწყლები წუთისოფელს!

ჩვენ ვცდილობთ და გართული ვართ იმ საკითხის ახსნაში, თუ როგორ გადავარჩინოთ ღირსეულ სასჯელს და საღრჩობელას ორიოდ ბოროტ-მომქმედი და ქვეყნის ნაძირალი, ხოლო როგორ გადავარჩინოთ ტყვიას, ყუმბარას და მახვილს პატიოსანი მოქალაქენი, რომელნიც ძალ-მომრეობა-თავმოყვარეობის მსხვერპლად ხდებიან, ამაზე არც კი გვიფიქრია.

სიციცხლე ყოველთვის სიციცხლეა, და, რისთვისაც უნდა იწირებოდეს იგი მსხვერპლად, მისი დაცვა და შენახვა ჩვენ ყურადღებას ერთგვარად უნდა იპყრობდეს.

დავანებოთ თავი მას, რომ ომი თავის თავად ბოროტებაა; მე მაინც მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ჩვენ ომისაგან გამონაწვევ უბედურებას, იმნიერ გულგრილობით უყურებთ, როგორც არცერთს ცხოვრებაში მოვლენილ უბედურებას და ამისთვისაც საეჭვო არ არის, რომ ომისაგან გამონაწვევ უბედურებისადმი საზოგადოებრივი თანაგრძობა რომ მეტი იყოს, მაშინ საზოგადოებრივი ძალები, იმასაც შეეცდებოდნენ, რომ მიზეზები, რომელთაგანაც ეს უბედურება იბადება, შემ-

კირებულოცო. აი ამ აზრიან და კეთილმოქმედ თანაგრძობის უქონლობას და არარად მიხნევას სხვა ერთა გაჭირვება უმბედურებისას, რომელიც ასე ძლიერ ჩავისისხლობოცებია ბავშობიღვანვე, ვსთვლი ერთ იმ უმთავრეს მიზეზათ, რომელმაც ასე დაამკვიდრა ომი დედა მიწაზე.

იათუფი.

ს ი ტ ყ ვ ა

23 კვირიანკვა.

ქრისტეს ღვთაებას შემღილებიც კი აღიარებენ, სოფლა ჩვენ, ჭკუიანი, სძინად ღორებში ვცვდიყ მას.

და ვგვდრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემოსოფლებინა მის გადარინელთასა, რათა წარვიდეს მათგან (ლ: 37).

გენესარეთის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე ამ 1912 წლის წინეთ დაშენებული იყო ბატარა ქალაქი სახელიად ვადარა, რომელიც უმეტეს ნაწილათ წარმათებით იყო დასახელებული. ერთხელ იესო ქრისტე, დამაშვრალი მეტი ქადაგებით თავის მოწაფეებით ნებით გავიდა ამ ქალაქში მოსასვენებლად. შედგა თუ არა ნაპირზე, მას მოეგება საშინელი შეხედულების კაცო, რომელსაც დიდი ხანია ტანისამოსი არ ჩაუცვამს და კაცთა შორის არ უცხოვრია, არამედ საფლავებთა შორის, გამოქვაბულ კლდეებში. სადაც მიცვალდებულებს ასაფლავებდენ ხოლომე, და აქედან შიშის ზარს სცემდა მთელ გარშემო მდებარე სოფლებს. მრავალ ვერ შეეპყრათ იგი და შეეკრათ, ჯაჭვებით და ბაწრებით, მაგრამ ვერ დაემაგრებიათ. რამდენათ საშინელი და საზარელი იყო მისი შეხედულება, იმდენათ უფრო საბრალო იყო ეს ეშმაკთაგან ქენჯნილი ადამიანი. და აი ამ გაველურებულმა, გამხეტებულმა, კაცმა, თუ კიდევ კაცი ეთქმის ასეთ არსებას, დაინახა თუ არა ქრისტე ნაპირზე გადმოსული, მიაშურა მას, ჩაუფარდა ფეხებში და ხშირად დიდითა დაღბდ-ყო: რა სძეს ჩემი და შენი, აესო, მყო დგთისა მადლასია? გჳგვადრება, ნუ მტანჯავ შე. საკვირველია, გაველურებული ადამიანი, რომელსაც კაცთა შორის დიდი ხანია არ უცხოვრია, რომელსაც ქრისტე თვალითაც არ უნახავს და

არც არა გაუგონია რა მათე, სცნობს მას და სცნობს არა უბრალო კაცად, არამედ ძედ ღვთისად და შეჭლადადებს: რა სძეს ჩემი და შენი აესო, მყო დგთისა მადლასია? ასეთი გულთმისნობა, ასეთი წინასწარი ცნობა და ცოდნა იმისი, რაც არ გაგვიგონია და არ გინახავს, შეუძლებელია და მოუხერხებელი ადამიანისაგან, ამაზე ყველა დაგვეთანხმება. მაშ თავისათავით ცხადია, რომ გარდარეული თავისდაუნებურათ სხვის აზრს გამოსთქვამს სხვის ნებას ასრულებს, სხვის მცნობელობას აღიარებს. ვისას მაინც? ბოროტი სულებისას, რომლებსაც დაებუდათ გარდარეულში და რომელთა წყალობითაც იქენჯობოდა ეს საბრალო ადამის შვილი. ურწმუნონი, რომელნიც უარსყოფენ ეშმაკების არსებობას, არ დაიჯერებენ ამას, მაგრამ თუ თავის ჯიუტ წინასწარ შედგენილ აზრს და უსაფუძვლო რწმენას ერთი წუთით მაინც თავს დაანებებენ და სახარების მოთხრობას გამოემძიებელი გონებით ღრმად ჩაუკვირდებიან, თუ ეშმაკეულის სიტყვების და მოქმედების ურთიერთობას შეზომავენ, ძალა უნებურად უნდა აღიარონ, რომ ამ საცოდავ ადამიანის პირით ველაცა სხვა უხილავი, უჩინარი არსება ლაპარაკობდა. ვინ მაინც? რა პასუხი უნდა მისცენ ურწმუნოებმა ამ საკითხზე, თუ არა ისევ ის, რა პასუხსაც თვით სახარება იძლევა! მატხოვარმა ჩვეულებრივი მოწყალემა იხმარა გარდარეულსა ზედა, განკურნა იგი, განდევნა რა მას შინა დაბუდებულნი სულნი არაწმიდანი, რომელთა უბრძანა კოლტსა (ჯოგსა) შინა ღორისა შესვლა, რომელნიცა (ღორნი) დაინთქენ ზღვასაშინა. ხოლო მწყემსთა ღორისათა, იხილეს რა სასწაული, ესე, მსწრაფლ აცნობეს მკვიდრთა იმა ქვეყნისათა და გამოვიდენ ყოველნი მკვიდრნი და, რა იხილეს სასწაული ესე და ეშმაკეული მჯდომარე ფერხთათანა იესოსთა სრულიად დამშვიდებული და შემოსილი, დიდათ განცვიფრდენ და სთხოვეს იესოს, რათა გასულიყო საზღვართა მათთაგან.

აი სრულიად ჩვეულებრივი, თუმცა უგნური, უჭკუო და გარდარეული, მაგრამ მაინც ადამიანის სუსტი ბუნების შესაფერი საქციელი!

გადარელები სთხოვენ იესოს, გავიდეს სხლვა-
რთა მათთაგან, სთხოვენ ძეს ღვთისას მოსცი-
ლდეს მათ ქვეყანას, დატოვოს ივინი ჩვეულებ-
ბრივ სიბნელეში, ისევ იმ ეშმკების ზელში,
რომელნიც განდევნა გარდარეულისაგან; გადა-
რელები მხარს უჭერენ ბოროტ სულებს და
ეუბნებიან იესოს: **რა სძეს ჩვენი და შენი იესო
ძეო ღვთისა ძაღლისაო? გვედრებათ ნუ გვტა-
ნჯაგ ჩვენ.** და იესოც აღარ სტანჯავს მათ, სტო-
ვებს მათ საზღვარს, მაგრამ არა სრულიად. იგი
უტოვებს მათ მათი უგნური საქციელის მამხი-
ლებლად განკურნებულ ეშმკეულს, რათა მიუ-
თხრას, რაოდენი წყალობა უყო მას ღმერთმა
და რა ბედნიერება უარყვეს საცოდავმა გადა-
რელებმა. **და წარგადა (განკურნებულა) ეოგუ-
ლსა მას ქალაქებსა და ქადაგებდა, რა იგი
ქეო მასთავის იესომ.** ექვი არ არის ერთად
ერთი განკურნებული დარჩა მთელ გადარაში
ქრისტეს მორწმუნე, წინაღმდეგ შემთხვევაში
იესო ერთხელ კიდევ მაინც ინახულებდა ამ მხა-
რეს, მაგრამ სჩანს გადარელებმა ერთხელ და
სამუდამოთ უარჰყვეს იესო.

რატომ? რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ
ზარალი მოუვიდათ, ღორები დაედუბათ, შეე-
შინდათ, რომ კვლავაც ასეთი ზარალი არ მო-
სვლოდათ. ამნაირათ იესო ქრისტე, ძე ღვთისა,
დიდი სასწაულთმოქმედი მკურნალი გადარე-
ლებმა ღორებში გასცვლეს, ღორებთან და ეშმა-
კებთან ყოფნა არჩის იესოსთან ყოფნას, სიბნე-
ლეში და უმეცრებაში ყოფნა არჩიეს სინათ-
ლეში და მეცნიერებაში ყოფნას.

გადარელების ასეთ საქციელს ჩვენ ჩვეუ-
ლებრივი უწოდებთ იმიტომ, რომ ესლაც ბევრია
ჩვენ შორის გადარელები. რომლებიც უარყო-
ფენ ქრისტეს, რომლებიც ღორებში სცვლიან
მას. თავს რომ დაუკვირდეთ, თითქმის ყველა
ჩვენგანი ათჯერ მაინც დაიქერათ ჩვენ თავს
გადარელთა საქციელში, ე. ი. დღეში ათჯერ
მაინც გაეცვლით იესო ქრისტეს ღორებში.
მაშ რას ვშვრებით თუ ღორებში არ ვსცვლით
ქრისტეს, როცა უარსვყოფთ მის ღვთაებას,
რომ ამით სახელი დაფიქსირებოთ კაცთა შო-
რის? რა არის თუ არა ღორებში ვაცვლა

ქრისტესი, როცა ეკლესიას გაურბივართ და
ღუქან-სამიკიტნიებში და თეატრ-პროექტო-
რებში ვატარებთ ღოცვისა და ღვთის ვედრე-
ბის დროს, ბაღებში დავეფიქრობთ მაშინ, რო-
ცა სამრეკლოდან ეკლესიაში გვაწვევენ? რას
შვრებიან თუ ღორებში არ სცვლიან ქრისტეს
ვაქრები, როცა კვირა-უქმე დღეს თავის ძაღ-
დატანებით დაკეტილ ღუქნის კარებს ამოტუხ-
ვიან, იქნებ ვინმე გამწვლელი შევიტყოთ და
ორი კაპეიკი დავატოვიწოთო? რას შვრებიან
ის ვგრედ წოდებული ნასწავლი გვამები, რომ-
ლებიც ზნეობის და სარწმუნოების დამცემ და
გამანადგურებელ წერილებს ჯღაბნიან, თუ
ქრისტეს ღორებში არ სცვლიან? რას შვრები-
ან ის დიდი თუ პატარა მკითხველები, როცა
ასეთ წიგნებისა და წერილების კითხვას ვგრე-
ბიან და სრულიად დავიწყებით სახარება—ეს
წიგნთა-წიგნი, ეს საფუძველი ქვეყნიური და
ზეციური ცხოვრებისა, თუ ქრისტეს ღორებში
არ სცვლიან? რას შვრებიან მასწავლებლები,
რომელნიც მოსწავლეებს ურწმუნოებაზე აქვებ-
ბენ, თუ ქრისტეს ღორებში არ სცვლიან? რას
შვრებიან ის მანდილოსნები, რომლებიც თა-
ვის საქციელს და ვარეგან მორთულობას კა-
ვალრების გაფუქებულ გემოვნებას უთანხმებენ
და არა ქრისტეს ზნეობრივ სწავლა-მოდლებას,
თუ ქრისტეს ღორებში არ სცვლიან? როცა
ოჯახსა და ეკლესიას გაურბიან და რაღაც უბ-
რალო ფუქსავატ კრებებსა და და ბალ-ვეჩე-
რებში განცბრომით ნთქავენ ძვირფას დროებას?
რას ვშვებით ჩვენ ყველანი, როცა წუთიერ
სიამოვნებისა, ქვეყნიური განცბრომისა, ხში-
რად ერთი დიმილის, ერთი შემობნდვის გუ-
ლისათვის ვგვმობთ ღმერთსა და მის სჯულს,
თუ ქრისტეს ღორებში არ ვსცვლით? ერთი
სიტყვით, ყოველ დღე, ყოველ წუთში, თუ
დავაკვირდებით, შეგვიძლია დავიჭიროთ ჩვენი
თავი იმ ცოდვაში, რომელიც ჩაიდინეს გადა-
რელებმა და რომელიც დღეს წაკითხული სა-
ხარების შემდეგ ბევრმა დაჰგმო. მაშ ნურც
ასე სასტიკათ განვიკითხავთ გადარელებს, არა-
მედ ვეცადოთ ვისარგებლოთ მათი უგნური
მაგალითით, მათი სასტიკი შეცდომით; მუდამ

წუთს დარაჯად დაუდგეთ ჩვენს თავს, რომ არ ჩავარდეთ მათ ცოდვაში, არ გავცვალოთ ქრისტე ღორებზე, არამედ შევიწყნაროთ და მივიყოლოთ იგი, ვითარცა მხსნელი და მაცხოვარი ჩვენი და მოძღვრება მისი, ვითარცა ნათელი და საფუძველი ცხოვრებისა ჩვენისა. ამინ.

სიტყვა

წილკნის ეპისკოპოსის იოანესი.

ჟ-დ საქმედელა წილკნელ ეპისკოსი ზატიონსანთა მძღვრელთა აზრებუისა, და ქსნი-სა, და მუსრანისანთა, საყვარელთა მძათა და თანა მწიროვრელთა ჩვენთა უფლი-სა მიერ კისაროდენ!

ადრიდგან მსურდა ხილვა თქვენი, საყვარელნო, მარა დამაყენა ჩვენ სნეულებამან დიდმან, რომელი თქვენდაცა უწყებულ არს; გარნა ვმადლობ ღმერთსა, რომელ არა სადა განმწირა მე სიკვდილად, და კურნება ჰყო; უწყი ესესცა, ვითარმედ დაგაყენა თქვენცა სოფლისა საქმემან ხილვად ჩვენდა, ვითარცა მეცა; და ამისათვის იყვენით შენდობილ უფლისა მიერ. გარნა სურვილი ვიყავ კაცად კაცადისა თქვენისა ხილვასა, ვითარცა მწყემსი სამწყსოისა, და ვითარცა მამა შვილთა საყვარელთასა; და უკეთუ სულითა მშვიდობისათა სუფევით. ვითარ არა რასა ყოველსა მოხარულვარ გარნა არა რას..... სლვასა თქვენსა, და კეთილად მოძღვრებასა შვილთა ჩემთასა მოხარულ ვარ რათა საუკუნოდ სუფევდეთ ქრისტეს მწყემსისა თანა. საყვარელნო ნუმცა დამძიმდებიან გულნი თქვენი მსოფლიოთა საქმეთა შინა. ზედა აღვგით და მარადის ასწავებდით სიკოცხლისა ამის მოძღვრებასა ერთა თქვენთა და ჩემი იგი დაკლებული თქვენ აღავსეთ. რათა გაქვინდეთ გვირგვინი. უხრწნელებისა. გევედრები, საყვარელნო, რათა სახე ექნათ ყოველთა კეთილისა აღმწინებისათვის. ნუ ხოლო სიტყვითა, არამედ საქმიითაცა, რათა ეკრძალებით მგელსა ბოროტსა, რომელი მიმოვალს შთადთქმად სულ-

სა კაცთასა, ამხილებდით და ასწავებდით ჟამსა და ჟამოსა, ნუ დააკლებთ კეთილთა სიტყვათა და მოძღვრებათა; და უკეთუ ესე ჰყოთ ახაროფ სულსაცა ჩემსა და თქვენსა. უკეთუ ხორცითა შორს ვარ თქვენდა, არამედ სულითა მახლობელი; რათა განაშორნეთ თავნი თქვენი ამპარტავანებასა და შურსა.. და ფრიდსა მოღვინებასა, რომელსა შეუდგს სიბილწით მსვლელობაი. ნუმცა იყოფიან, შვილნო, ესე ვითარნი საქმენი ეშმაკთა საქმებლნი. ნუ ექმნებით სახე სიბოროტისა. არამედ კეთილისა, რათა ერნიცა გეწამებოდენ. უკეთუ ესე ჰყოთ, არა უწყითა, რადენთა კეთილთა მიიღებთ ამას სოფელსა და მუნ ცხოვრებასა საუკუნესა? ნუმცა დაგავიწყდების, შვილნო, მოკვდავ ვარო რათა არა სირცხვილეულ ვიქმნეთ წინაშე ღვთისა. აჰა ესე რა წინა ბქეცა მარხვისა მოიწია. განმზადენით თავნი თქვენი და ერნიცა აღსარებად და მარხვად; და შემდგომად მიღებად წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთა. და ღმერთი მშვიდობისა იყავ თქვენ ყოველთა თანა საქმედ კეთილისა.

ხოლო ვისმინოთ საღმრთოცა სიტყვა, ..ვითარცა პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოსთ თქვენ. უტყუველ არს სიტყვა იგი, ვითარცა ღვთის მოყვარეთა ყოველივე განმარჯვების, და თქვენცა, უკეთუ ესე ჰყოთ. მეტყვიით ჩვენ, ვითარმედ ცოლნი და შვილნი გვისხენ და არა მკალის საქმედ კეთილისა. ურგებ არს ესე, შვილნო. რასაცა იქმოდეთ ყოველსავე სამადლობელად ღვთისა იქმოდეთ. და ესეცა კეთილ. პირველად შევედრებით იგინი მამასა მოწყალესა, და ყოველივე ზრუნვა მას მიანდვეთ, და იწყეთ საქმედ კეთილისა, და ესეცა ძიება სასუფეველისა არს; ოდეს ესე ჰყოთ, საყვარელნო, ესეცა მიგცენ ღმერთმან, და იგიცა მყოფობა წმიდათა თანა. მოიწია სასმენელთა ჩვენთა, ვითარმედ ერი მიდრეკილ არს მას ვნებასა, რომლითა ცხებული შეფუ საულ განვარდა პირისაგან ღვთისა... და მოძაგებულ ექმნა და რჩეული ერი ისრაილისა ამის სენისაგან ტყვედ წარასხსნეს. დიდ არს

სენი ესე და უსჯულოება მკითხაობისა, რომელნი მივლენან მათდა და იკითხვენ ამის მიზეზითა ღმერთი განემორება ერთა და არს იგი ყოვლად ეშმაკის თაყვანის ცემა და რომელნი ქადაგთა ირწმუნებენ, იგინიცა ეშმაკისა შედგომილ არიან და თვით იგინი ეშმაკთ სავანე არიან. და თქვენ დაგიღუმებიეს და არა აყენებთ და რომელნიმე სათნოცა ეყოფით, და არა განაცხადებთ ამიერიდგან ისწავეთ და ამხილეთ, და ნუ უტყვებთ ერთა ქრისტესთა ზორვად ეშმაკათანა. უკეთუ არა ისმინონ გვაუწყეთ და ნულარა შეხვალთ სახლთა მათთა. შეილნო. რა ზიარება არს ქრისტესი ბელიარისათანა? თქვენ ნუ ეზიარებთ საქმეთა მათთა. რომელნი მკითხაობდენ შეჩვენებულ იყვნენ და წყეულ, უკეთუ არა მოიქცენ, და ფრიად შეინანონ და რომელნი ქადაგთა აღადგენენ ანუ თვით იქნებიან, შეჩვენებულ იყვნენ და რომელთა მათ შეუდგებიან იგინიცა წყეულ იყვნენ და შეჩვენებულ და რომელნიცა საეკლესიოსა განწესებისა და სჯულის წინააღმდეგ არიან იგინიცა შეიჩვენენ უკეთუ არა მოიქცენ და შეინანონ. ტირილისა არიან, სწყვარელნო, ესე ვითარნი საქმენი ღირს. ფრიად, ვითარმედ მღვდელნიცა თუ მივლენ მკითხაობად, და ანუ ქადაგთა თუ არწმუნებენ. არა მნებას შესმენა მათი გარნა ორითა და სამითა მოწამითა და უკეთუ ჭეშმარიტად არს, რომელ მღვდელნიცა ამას ჰყოფენ, შემინდევით, ვერ ძალშის ამისი მოთმენაი. თქვენ თვით უწყით, ჭეშმარიტათ მიყვართ თქვენ და მნებას ცხოვრება თქვენი, და სულიც ჩემი დადებად თქვენთვის, და თქვენცა შერისხეთ ეგე ვითართა, ვითარცა მოციქულთა ჭეშმარიტებისათა, და ნუ ვის სათნო ეყოფით, ვითარცა ღორთა მწვირეთა შინა აღრეულთა. და მუნ ურთიერთას შეკრებასა თქვენსა იტყოდეთ და იწურთიდეთ საღმთოთა წერილთა; რათა ძალი გულისხმის ყოფის ღვთისაგან მოილოთ, და ნუ ერჩით ფრიადსა ღვინოსა, რომელსა ზედა ერნი გეწამებიან და ერნიცა განაყენეით უჯეროთა ნაყოფანებათაგან, რათა სიწმიდით ცხოვრება გაქვდეთ ყოველთა ერთბაშათ ქრისტე იესოს მიერ.

არცა ესე ჯერ არს რომელი ჰყოფთ სიმღერასა და ხლდომასა ერთა შორის. ფრიად საძაგელ არს წინაშე ღვთისა უშვერ სიტყვათა და ხუმართა არა სასარგებლოთა, უფროსდა მავნებელთა სულისათა. ასწავებდით ერთა აღსარებასა შინა პირველად სარწმუნოებასა და მერმე კეთილთა საქმეთა და უკეთუ ესე ესრეთ ჰყოთ, მოილოთ გვირგვინი უბრწუნელებისა შეკრებასა სულისა ჩემისა და თქვენისა, რომელ მოვგცეს უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. მნებას უფროსდა სიბრძნით ქცევა თქვენი საყვარელნო, რათა თქვენ უმეტეს სხვათასა წამება გქონდეთ წინაშე ღვთისა და ყოვლისა ერისა. არა ხართ უმეცარ საეკლესიოთა საქმეთა, კეთილად აღსრულებდით და ოდეს მოვიდეთ თქვენდა განვიხარო, ოდეს კაცად კაცადი თქვენი ვიხილო შეიღთა საიდუმლოთა სიშარჯვით აღმასრულებელად და კეთილსა ამას მოძღვრებასა ზედა დადგომილად. ვილოცავ თქვენთვის მარადის, შეილნო ღვთისა მიმართ ყოვლად ძლიერისა რათა გაქენდეს მარადის ყოველთა კეთილი გონება და მშვიდობა ამას სოფელსა და მას ცხოვრებასა საუკუნესა. ეკრძალენით რათა არა უდებებთა ნაწილ ეშმაკისა ვინმე ჰყოთ. ამისათვის გიხმთ სიტყვის მიცემა ოდეს უფალი მოვიდეს და გვედრებით რათა ჩემსასაცა ხსენებასა ჰყოფდეთ წმიდათა შორის ლოცვათა თქვენთა. წარუკითხეთ წიგნი ესე ყოველთა შეილთა, და მოკითხვაცა არქუთ ყოველთა ჩვენ მიერ და ღმერთი მშვიდობისა იყავნ თქვენ ყოველთათანა. ამინ.

მდაბალი ეპისკოპოსი წილკანისა, მუხრანისა და არაგვისა იოსებ. *)

იანვ. ვლ. წელსა ჩლევ.

*) ეს ქადაგება ვიპოვე იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ქაღალდებში და იმდენად საყურადღებოდ ვსცანი, რომ საზოგადოდ ვაქვეყნებ.
ღვლ. მ. კელენჯერიძე.

ნაყოფიერი ბალი.

ერთი მოხუცებული მწერალი, იგონებდა-რა თავის წარსულ ახალ-გაზღობას, სწერდა: „ჰოი, ბედნიერო, დაუბრუნებელი სიყმაწვილის დროვ! განა შეიძლება, რომ კაცს არ უყვარდეს შენ? განა დაბრუნდება ოდესმე ის სიახლე, უზრუნველობა, მოთხოვნილება სიყვარულისა და ძალა სარწმუნოებისა, რომელიც აქვს სიყმაწვილს? სხვა რომელი დრო იქნება იმაზე უკეთესი, როდესაც ყმაწვილის უმანკო სულში ისეთივე სისუფთავე და სიხარულია, როგორც უღრუბლო მოწმენდილ ცაზე? სად არის ის გულ-მხურვალე ლოცვა? სად არის საუკეთესო ძღვენი ახალგაზდა გულისა — წმინდა ცრემლები ღმობიერებისა? მოფრინდებოდა ხოლმე მაშინ ანგელოზი შანუგემბელი, ღიმილით მოწმენდავდა ამ ცრემლებს და აგრძნობინებდა ტკბილ აზრებს გაუფუჭებელ ყმაწვილის არსებას“...

ამ მწერლის მზგავსად, რამდენ ხანში შესულ ადამიანს ამნაირადვე აგონდება სიყმაწვილის ოქროს დრო; როგორც სასიხარულო — ბრწყინვალე, მაგრამ შორეული და დაუბრუნებელი წარსული! ხშირად ადამიანი სიბერის დროს მწუხარებით გრძნობს, რომ თავისი საკუთარი მიზეზით, მან გაფლანგა, უნაყოფოდ დაღუპა საუკეთესო ძალები თავისი ოდესმე წმინდა და კეთილი ყმაწვილური სულისა, და ეხლა, სიბერისას, იგი, ტყის ხესავით დაგვიანებული შემოდგომით, სდგას დაღონებული, გულ-მიუვალი, ფოთლებ-გაცვივებული, რაიცა მას ამშვენებდა უკვალოდ წასულ გაზაფხულის განმავლობაში; და მაშინ მწუხარებით იგონებს ადამიანი სიყმაწვილის წმინდა ფიქრებს; ცარიელია დაობლებული დაბერებული გული: გახმა დაშავდა იგი. იმის მზგავსად, როგორც ფრინველები შემოდგომით თავს ანებებენ მომაკვდავ ტყეს, და მხოლოდ ქარიშხალი-და მოწყენით ზუზუნებს მასში, ეგრეთვე ადამიანის სიცოცხლის ყოფილი სიმოვნებანი სტოკებენ სიბერეს, რომელსაც ვერ შეუნახავს სიცოცხლის გზაზე უმანკოება ყმაწვილის სულისა, მისი უბოროტობა და სიყვარული მთელი ღვთის ქვეყნისადმი. ბევ-

რი სიმწარით ფიქრობს მაშინ: „ოჰ, ნეტავი შეიძლებოდეს ხელ-მეორედ დაწყება ცხოვრებისა! და ეხატება მათ ახალგაზღობა, სხვანაირათ გატარებული, უკეთესად. მათ წარმოუდგება დამუშავებული ნაყოფიერი ბალი, ნაადრევი გაზაფხულით ბუჩქებიც და ხეებიც შემოსილია ათასნაირი ახლად-გაფუჩქნული ყვავილებით; ჰაერი გაჟღენთილია მათი საამური კვილ-სუნუნელოვანებით; ნათელი მზე აღერსიანათ ათბობს და ჰფენს სინათლეს ახლად-გაფუჩქნულ ფოთლებს. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ეს ყვავილები სცვივდება და ფოთლები-და რჩება; მაგრამ შეხედეთ ბაღს ხელ-მეორეთ, შემოდგომით: მთელი ზაფხულის განმავლობაში ფოთლებში გახვეული მწიფდებოდა ხილეულობა, და ხეები ეხლა იზნიკებთან გემრიელ ნაყოფის სიმძიმის ქვეშ. ბევრი შრომაა დახარჯული ამ ბაღზე, ამიტომ ჯილდოც შრომისთვის დიადია.

ასეთ ბაღად უნდა იყვეს ადამიანის გული. როგორც ყვავილი და ბაღახი მიიწვეს შხის გამაცოცხლებელ სხივებისკენ აგრეთვე ბავშვის უმანკო სულიც მიიწვეს სიკეთისა და სიყვარულის სინათლისაკენ. ეცადეთ დასთესოთ ბავშვის გულში კეთილი მარცვლები ღვთის სიმართლისა; გაათბეთ იგი ქრისტეს სიყვარულის სიბოთით; გაუფთხილდით მის ნაზ არსებას, რომ ადამინებმა არ გაჰქელონ თავიანთი ქუქციანი ხელით, — და მაშინ იგი თავის სიცოცხლის ზაფხულში და სიბერის შემოდგომაზე მოიტანს მრავალ ნაყოფს სიკეთისას... ხალხს ხომ ბევრი ესაჭიროება ასეთი ნაყოფი...

უკანასკნელ წლებში ხშირად გაისმის სამწუხარო ამბავი შიმშილობაზე ხან ერთ ადგილს, ხან მეორეს. ჩვენი ქვეყნის გულ-შემატკივარი ადამიანები სცდილობენ, რომ, რაც-კი შეიძლება, შეამსუბუქონ ასეთი უბედურობა ხალხისა.

ასეთი ხორციელი შიმშილი არის კიდევ ნახევარი უბედურობა; არის უფრო დიდი უბედურობა — სულიერი შიმშილი. არა მხოლოდ რომელსამე მხარეს, არამედ საყოველთაოდ სჩანს ნაკლებულობა სულიერი პურისა; ჩვენ ყველანი ძალიან ესაჭიროებთ ღვთის სიმართლეს ქრისტეს სიყვარულს სახარების ცხოველ სიტ-

ყვას. ღარიბია ჩვენი ცხოვრება სიკეთითა და ჭეშმარიტებითა, მივარდნილია ამ მხრივ ჩვენი ბალი, მიტოვებულია უყურადღებოდ ხეები ჭეშმარიტ ცხოვრებისა, ყველგან მუდმივი ნაკლებობაა პატიოსანი მუშაკებისა ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

გავისხენოთ აი ეს ყანა: შორს, სადაც-კი გაგიწვდება თვალი, გაქიმულია იგი უსახლეროდ; ყველგან; რომელ მხარესაც-კი მიიხედავ, საქმე ღვთისა სდგას. თუ ჩვენი გასწორება, როგორც ბებერი ხეებისა, ძნელია, — მაშ ვიზრუნოთ ბავშვებზე: მშობლებმა თავიანთ სახლში, ოჯახში, მასწავლებელმა შკოლაში, სულიერმა მამამ ეკლესიაში; ყველას ჩვენ, უფროსებს, როდესაც მოგვიხდეს ყოფნა უმცროსებში, ნუ დაგვაიწყდება, რომ ვიმყოფებით ძვირფას ნაყოფიერ ბაღში, რომ ჩვენ გარშემოა ნორჩი მცენარეები, რომლების გასწორებაც და გაფუჭებაც შეგვიძლიან ჩვენ. ბავშვის სული წარმოადგენს მდიდარს და ნაყოფიერს მიწას; მასზე რასაც-კი დასთესავ, იზრდება ჩქარა და ფესვებს ღრმად იდგამს. ვიკითხოთ ახლა: რას ვთესავთ ჩვენ, რას ვასწავლით ბავშვებს, რა მაგალითს ვაძლევთ მათ? კაცს ებრალება, თუ დაინახა ბაღში ქარისგან მოტეხილი ახალგაზღა და ხე, ან ყვავილი, გასრესილი ტლანქი ფეხით. გაუფრთხილდით მაშ ბავშვის სულს, რომ არ შიაცხოთ ჭუჭყი მის უმანკობას. ნაყოფიერ ბაღში ჩვენ ვუფრთხილდებით თვითელს ხეს, რომ არ გააფუჭოს ან ფრინველებმა, ან სხვამ რამემ; ნუთუ ბავშვის სული ნაკლებათა ღირს, ვინემ ვაშლისა ან ბლის ხე?

სადაც უნდა შეხედე შენ ბავშს, შენსას თუ სხვისას, ყოველთვის გახსომდეს: ეს ჯერ გაუფურჩქნელი ღვთის მარცვალია. ნურც ერთი შენი ბოროტი სიტყვა ნუ შეეხება ბავშვის სმენას, ნურც ერთი ხელით შენი ხელით შეხება ნუ გამოიწვევს ბავშვის ცრემლს. თუ ბავშვს რაიმე ცუდი თვისება აქვს, სჩანს, ეს სხვა ვინმეს უსწავლებია, ვინმე უფროსისგან გადაუღია ეს მაგალითი; შეიძლება შენც მიეცი ეს მაგალითი. მაშ რატომღა სჯი სხვისი ბოროტებისათვის უგუნურ ბავშვს? როდესაც ბაღში ჩვენ ვხე-

დავთ, რომ ფრინველები ჰკენკავენ ხილფულობას, ან საქონელი აფუჭებს ხის ქერქს, არ ვუჯავრდებით ხეს, არ ვამტყვევთ მის ტოტებს, არამედ ვიფარავთ მას ფრინველები-საგან ბაღით. ვცთილობთ მოვარჩინოთ გაქერი-ქილი ადგილი. ეგრეთვე უნდა მოვექცეთ ბავშვსაც. ცხოვრებაში რომ გამოვლენ, ბავშვები უჩვენოდაც ბევრ ბოროტებას შეხვდებიან, გაიგონებენ ბევრს ლანძღვა-გინებას, დაინახავენ ბევრ ცუდ საქციელს. ჩვენ რაღათ გავამწვავოთ ჩვენი მხრივ მათი მომავალი ბედი? ჩვენი საქმეა მივცეთ გზა ბავშვის გონებასა და გულს; შკოლით, სწავლით გავანათლოთ მისი გონება. ღვთის სიტყვით და კეთილი მაგალითებით განვამტკიცოთ ბავშვის სული სიკეთეში, და ყველაზე მომეტებულად ვასწავლოთ მას, რომ უნდა უყვარდეს ღმერთი, ხალხი და ქვეყანა. ჩვენი უმთავრესი მზრუნველობა იქითკენ-კი არ უნდა იყოს მიდრეკილი, რომ დავუტოვოთ მათ დიდი ქონება, გაუკვეროთ გზა დიდება-პატივისაყენ, ან, როგორც ამბობენ, ხალხში გამოვიყვანოთ, არამედ იმას უნდა ვზრუნავდეთ, რომ ისინი ნამდვილი **აღამიანები** იყვნენ, რომ იმათთვის ყველაზე ძვირფასი ცხოვრებაში იყოს სიკეთე, რომ ისინი იყვნენ მდიდრები ქრისტეს სიყვარულით და ღვთის სიმართლით. დაე, ჩვენ თუ არა, ჩვენმა შვილ-შვილებმა და შვილის-შვილებმა მაინც იცხოვრონ ახალი, უკეთესი, ღვთიური ცხოვრებით. ბავშვები არიან ნორჩი ყლორტები ცხოვრებისა; ფრთხილად და სიყვარულით აღვზარდოთ ისინი, ბეჯითი შრომა დავიწყოთ ჩვენ ამ ნაყოფიერ ბაღში და ვევედროთ ღმერთს, რომ კარგი მოსავალი მოგვცეს კეთილი ხალხისა, ღვთიური სიმართლისა.

მლ. იოანე ლუკიანოვი.

**ივერეთის ეპარქ. ბლალოჩინთა სა-
უკაღდეგოთ.**

დროა ჩვენს საზოგადოებას შეგნებულ-
ლი ქონდეს, რა სასარგებლო და მნიშე-
ნელოვანია ჩვენი წარსული, ჩვენი მამა-
პაპათა საქვეყნო ნაამაგივი. ძველი ციხე-
ები, ეკლესიები, ნანგრევები და ყოველი
ქვის ნატეხი-კი, თუმცა უტყვი, მაგრამ,
ხმამალა მღალადებელია იმისი, თუ რო-
გორის წვითა და დაგვიტ შეიჩინეს ჩვენ-
მა ძველებმა: სჯული და სარწმუნოება,
ენა, ზნე-წესი და ხალხოსნობა... მკუთაი-
სის, „ბაგრატის ტაძრის“ ზღუდის გამკე-
თებელი „კომისია“ დაინიშნა და მუშაო-
ბას განაგრძობს. გაიგეს ეს თუ არა,
ღმერთმა უშველოს ჩვენს ერს, სადაც
მოწოდების ფურცლები გავგზავნეთ, არა-
ვის თავის წვლილი არ დაუშურავს. მრავალ-
მა კეთილ-შეგნებულმა პირმა, ჩვენგან
მიუმართავათაც ინება და მოგვაწოდა,
მაგალითათ: ილუმენმა ნაზარიმ (6. ლე-
ვაკამ შოლინის გუბერნიიდან 23 მანეთი).
პრისტოტელ მკუთათელაძემ 5 მან., ლვდ.
ი. ჩლაიძემ 5 მან., ლვდ. ა. კვანტრიშვილმა
5 მან. და 10 შ., ლვდ. ვ. შიფშიძემ 30 შ.
შეგვიკრება. წარმოიდგინეთ, უცხოელ-
თაგანაც 20 მან. მივიღეთ სრულიად
მოულოდნელათ და სხვა მრავალთაგან-
ნაც...

ჩვენს ბლალოჩინებს ყოველად სამღვდელ-
ლოსაგან ნება დართული მოწოდება და
მასთან თითო აბაზიანი წიგნაკები (ისტო-
რიული მიმოხილვა ბაგრატის ტაძრის
შესახებ) გავუგზავნეთ, რის ფასი და შე-
წირულებაც უნდა გამოეგზავნათ. ზოგი-
ერთმა ბლალოჩინმა გამოგვიგზავნა; და-
ნარჩენი კი სდუმს! ერთმა ბლალოჩინმა,
(დ. ნს ძემ), რომელსაც მოწოდებასთან
ერთად დახაზული ქალაღი გავუგზავნეთ
შეწირულებათა ჩსაწვრათ. უკანვე და-
გვიბრუნა ცარიელი ქალაღი! აღბათ
არც კი უჩვენებია სხვა ლედლებისათვის...
რას მივაწეროთ ასეთი გულგრილობა

ზოგიერთი ბლალოჩინბსა?! შინც ასეთ
მნაშენელოვანს და სავალდებულო მოწო-
დებაზე წაიყრუა, ჩვენ სავალდებულოთ
ეთვლით, მათი სახელი გაზეთის ფურც-
ლებზე ავწუხნოთ*).

წვერი კომიტეტისა.

*) ვასრულებთ აეტორის სურვილს და ვბეჭ-
დავთ უკვლელად.

**კ რ ი ტ ი კ ა .
ეკატერინე გაბაშვილისა.**

VIII.

(დასასრული 1)

ამ ჩემი სტატიის დასაწყისშივე ვთქვი,
რომ ეკ. გაბაშვილისა გასული საუკუნის 80-იან
წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და სოფ-
ლის მშრომელ მესაკუთრეთა დიდი მოტრფია-
ლე-მეთქი. ეს ერთი უდიდესი საგანია მისი
მოღვაწეობისა.

იმ დროს ქართული ახალი ლიტერატურ-
რა გაიტაცა რუსეთის ინტელიგენციის და ლი-
ტერატურის მიმართულებამ, რომელიც სულ
ერთიანა სოფლელების, გლეხთა მდგომარეო-
ბით იყო ჩაყლაპული. დიდი მოღვაწის და პა-
ტიოსანი ინტელიგენტის, თუ ლიტერატორის
სახელს ის ატარებდა, ვინც სოფლად მიდიოდა,
გლეხების ქირსა და ლხინს შუაზე იყოფდა,
აკვირდებოდა და სწავლობდა გლეხთა ცხოვრე-
ბას და დიდი სიყვარულით ეკიდებოდა გლეხ-
თა ცხოვრების გაუმჯობესობას, მალა აწე-
ვას...

რასაკვირველია, იქ ამაზეც არ შეჩერებუ-
ლან და გატაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ
ამბობდენ, დიდი გარემოება, გარეშე ძალი
ხელს არ უშლიდესო, გლეხი პირდაპირ სოფ-
ლად გაახორციელებს უმაღლესი ფორმების იდე-
ალებს, ბედნიერს არკადიასო...

რუსეთის ლიტერატურამ სწორედ ისე,
როგორც საფრანგეთშიაც და გერმანიაშიაც
იყო ასეთი ამბავი ერთ დროს, დაიწყო გლეხ-
კაცის ცხოვრების, მისი სულიერი ვითარების

1) იხ. „შინ. საქ.“ № 36.

ყოველმხრივი გამოკვლევა. გლეხი შეიქნა არათუ სტუმარი, ერთი უღარესი, უდიდესი საგანი პირდაპირ კერპი, რომლის წინაშე მუხლს იდრეკდენ, სხვერბლებს წირავდენ და გაცვიფრებით შესცქეროდენ ნიკიერნი მწერალნი, ლიტერატორნი და პრაფესორნიც.

რუსეთის ერობები დიდის გულმოდგინებით აგროვებდენ სტატისტიკურ ცნობებს თავიანთ რაიონებში, გლეხების ცხოვრების სხვა დასხვა ამბების შესაკრებად აღგენდენ და ბეჭდავდენ პროგრამებს, სწავლულები და ასაკში მოსული მოსწავლე ახალგაზდობა ათასობით მოედვა დაბა-სოფლებს პროვინციებში და დაიწყეს ახალი ცხოვრების, ახალი მოძღვრების გატაცებით ქადაგება, პრაპაგანდა.

აი, ამ მიმართულებას ეწოდებოდა რუსეთში „ნაროდნიკობა“, რომელიც სულერთიანა დაეუფლა მოწინავე რუსის გრძნობა-გონებას. „ნაროდნიკობა“, რომელიც აცდა ნ. დობროლითობის მართალს აზრს ხალხზე, როგორც საკულტურო, გასავითარებელ მასალაზე, პირდაპირ დაუბრუნდა სლავიანოფილების ცრუ შეხედულებას და რუსის ხალხს მიუჩინა სრულიად რალაც განსხვავებული, „თვით-მყოფი“ როლი ისტორიაში. „რუსეთის ბელეტრისტიკის მაღალ სალონებში“ გამეფდა რუსის „მუჟიკი“. ამ გამეფებას რუსეთშიაც და ჩვენშიაც თვისი ისტორია აქვს.

სულ წინაპირველად, ყველგან, ყოველ ხალხში, როცა აზრი ცოტათი მაინც გამოფხიზლებულა საზოგადოების მწიგნობარ წრეებში, მწერლობა სოფლის მდაბიო ხალხს უყურებდა, როგორც ყოველად უცოდველს ანგელოზებს, რომელნიც სრულს იდილიურს ურთიერთს განწყობილებაში ცხოვრობდენ და დიდის მოწინებით ემორჩილებიან თვის უფროსებს და მთავრობას. ამ ხალხის იდეალები და სურვილები ძლიერ მოწონდათ და ერთ წმიდა რამედ მიაჩნდათ მწერლებს.

მართალია, დიდსა და მდიდარს არისტოკრატას, ხალხოსნობისა და „ეროვნობის“ აფიციანულს წარმომადგენლებს ძულდათ და არ უყვარდათ ეს საშინლად მოუხეშავი, მწარე

ოფლით აშმორებული სოფლის მუშა ხალხი, მაგრამ ამ აუტანელ ყმობაში საუკუნოვებით ჩავარდნილი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობის იდეა თან-დათან, ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა და მაგრდებოდა მწერლობაში და იპყრობდა მკითხველების ყურადღებას. ნულარ მოვიხსენებთ იმას, რაც იყო წინათ რუსეთსა და ჩვენში. მოვიგონოთ ი. ს. ტურგენევი, გრიგოროვიჩი, პისემსკი და სხვებიც რუსეთში, კონქაძე, ილია ქავჭავაძე და სხ. ჩვენში, რომელნიც ექომაგებოდენ და უთითებდენ ყმობაში ჩაკვივრულ გაუბედურებულ ხალხის პირადობაზე.

ეს იყო მწერლობა ამ ხალხის დაცვისა, წაქომაგებისა და არა მისი შესწავლისა და საფუძველიანად გაცნობისა. ეს მწერლობა ამბობდა, რომ ყმაც ადამიანიო, ადამიანი ორგინალური და თვითმყოფი, მაგრამ მას არ უნდოდა ცოდნოდა და არც ლაპარაკობდა, თუ რა ზნეობის და ხასიათის იყო იგი, რა სულის განწყობილობის, ყოფაქცევის იყო ეს ხალხი. ერთი მაშინდელი რუსის კრიტიკოსისა ირ იუვეს, იმ დროის მწერლობა მხატვრულად როდი ხატავდა ხალხის სინამდვილის მეტ-ნაკლებობას, ბარდაპირ ადვოკატი, დამცველი იყო ამ ყოველად უბედური ხალხისა...

გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა, ყმების გათავისუფლების შემდეგ, ძალზე მოითხოვა უფრო ახლოს გაცნობოდა მწერლობა ამ ხალხს, მოითხოვა, ასეწოდებულნი, „შიშველი ქეშმარიტება“ და მას აქეთ რუსეთში და რუსეთის წაბაძვით ჩვენშიაც მთელი მწერლობა შეუდგა ამ „ქეშმარიტების“ ძიებას, შესწავლას და გამოხატვას...

ტიპიური გამომხატველი და დამწყებიც ამ საქმისა რუსულ ბელეტრისტიკაში იყო ნიკოლოზ უსპენსკი, კაცი მართლაც ნიკიერი, მაგრამ იგი მიღე ლოთობამ ჩაითრია და სრულიად დაიღუპა მწერლობისთვის. უნდა დავასახელო სლევკოვი და ლევიტოვი, რომელმაც უფრო ქალაქის პროლეტარიატი ასწერა. უნდა დავასახელო, რა თქმა უნდა, რეშეტნიკოვი, რომელიც, ჩემი ფიქრით, ძალიან შესანიშნავი მწერალი იყო რუსეთში, რომლის კვალს ფი-

ზელი „ნაროდნიკი“ ბელეტრისტებიც ვერ გაყვენ, ისეთი უარყოფილი შეხედულებისა იყო ეს მწერალი რუსის „მუჟიკზე“. რეშეტნიკოვის სალიტერატურო ნაწარმოებნი ძალიან საინტერესო ხასიათის ნაწერებია და, საკვირველია, რუსული სალიტერატურო კრიტიკა მას ყურადღებას არ აქცევს სრულებით.

შემდეგ სალიტერატურო ასპარეზზე გამოდის გლებ უსპენსკი, რომელიც რუსის გლებს ეკიდება და სწავლობს ცნობიერის კრიტიკით, სერიოზულად და ნიჭიერადაც ხატავს, ახასიათებს ამ ხალხს. გლ. უსპენსკიმ დაინახა რუსეთის ხალხში ძალიან ბნელი და დამღუპველი ზნე-ჩვეულება, ისეთი ინსტიტუტები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში გამწარებულ მონობის უღელს შეემუშავებია ამ უბედური ხალხის ძვალსა და რბილში. რა თქმა უნდა, ეს ინსტიტუტები ასე უცბადაც, მეორე დღეს არ დაიფიცდებოდა ამ ხალხს და მის ძირითადი გარდაქმნისთვის საჭირო იყო, თუ ისევ საუკუნოები არა, დიდათ დიდი დრო ხომ მაინც, და გლებიც ეძებდა გზებს, როგორ ინტელიგენცია დაახლოვებოდა ამ ხალხს, და ამ უკანასკნელმა საქმემ გადიყოლია იგი და დაღუპა კიდევ...

მეორე „ნაროდნიკი“ ბელეტრისტი, გლ. უსპენსკივით ნიჭიერი ნ. ზლატოვრაცკი, გლებ უსპენსკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა თითქმის. იგი უკავშირებდა გასული საუკუნის ორმოციანთა სალიტერატურას თავის დროის მწერლობას და რუსის ხალხში ეძიებდა უფრო კარგსა და შეენიერს, დიდათ სიმპატიურს მხარეებს და განსაკუთრებით მათზე ჩერდებოდა, იმათ უსვებდა ხაზს, მათ აღწერას უწერილობანდებოდა.

სიმართლეს მაინც ვერ ვუღალატებ და უნდა პირდაპირ ვთქვა აქ, რომ მხატვრულ ლიტერატურას არაფერი არ შეუძენია ამ რუსულ „ნაროდნიკულ“ ბელეტრისტიკიდან და მხოლოდ მოდამ, რომელიც ძლიერად გამეფდა ლიტერატურაში, ჩაითრია ყველა მაშინდელი ნიჭიერი და კოცხალი თაობა.

სამოციან წლებში საქართველოშიაც მოხ-

და უღიადესი რეფორმა — ყმების გათავისუფლება, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ძველსა და ახალს ცხოვრებას შორის. მაგრამ ეს გათავისუფლება არ იყო სრული. ჩვენებურ ნაშინაყმარს მიწა არ დაუტოვეს, ამასთანავე მოქალაქობრივი უფლებაც არ მიანიჭეს. ფაქტიკურად ნაშინაყმარი, თუმცა ყმობისგან მისი პირადობა გაათავისუფლეს, მაგრამ ეკონომიურად მისი მდგომარეობა უფრო აუტანელი შეიქნა... ამასთანავე ქართველ გლებს სოფლად არ მიანიჭეს არც ერობა, არც ნაფიც მსაჯულთა სამართალი, არც ნამდვილი, ხალხისთვის სასარგებლო ცოდნა, შკოლა, თანამედროვე მკურნალობასა და რაციონალურ აგრონომიაზე ხომ ტყუილადაც არავის უფიქრია.

ამიტომაც საქართველოში, თუმცა რუსეთის წაბადით, დაიბადა ჩემ მიერ წოდებული, „ტეტიათა მოტრფიალეთა“ გუნდი, მაგრამ მას დიდი, თვალსაჩინო ხალხისთვის არაფერი გაუკეთებია არც ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში, არც მწერლობაში. ჩვენ წამოადაც არა გვეოლია ისეთი მომზადებული პირნი, რომელნიც ჩვენი გლებობის ცხოვრებას ღრმად გაცნობოდნენ, გამოეკვლიათ და ჩვენი მდაბიო ხალხის სულიერი და ნივთიერი ყოფნა გაეთვალისწინებიათ.

მართალია, გაჩნდნ ჩვენშიაც, უფრო კი ქართლში მოთხრობების მწერალნი; რომლებიც მეტად ზერელედ და ძალიან ცოტათითაც სწავლობდნ ხალხის ცხოვრებას, მეტად ზარმაცად, გარეგნულად ეკიდებოდნ საგანს. ისინი, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, გულდასმით, დიდის ენერგიით და ცხოველმყოფელობით, ღრმად ვერ ეკიდებოდნ თავიანთ საქმეს და, ამიტომაც, იმათ ბელეტრისტულ ნაწერებს ამჩნევია დაუმუშავებლობა. სისუსტე ლიტერატურული მხატვრული ნიჭისა.

ი, ამ კატეგორიის მწერლებია ჩვენში კარგად ცნობილნი ნ. ლომაური, სოფ. მგალობლიშვილი და ეკატერინე ვაბაშვილისა, რომელთა ნაწერებში ნათლად იხატება იმათი მიმართულება.

ხომელი.

ვარლამ ლევანისძე გელოვანი, ახალი სასელმწიფო სათათფიროს დეპუტატი

ოც ოქტომბერს მოხდა ქალაქ ქუთაისში ამომრჩეველთა კრება, რომელზედაც ხმის უმეტესობით სახელმწიფო სათათფიროს წევრად აირჩიეს თავადი ვარლამ ლევანისძე გელოვანი. გელოვანს შესრულებული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პეტერბურგშივე იყო შერიცხული ნაფიც ვეჟილთა კორპორაციაში და იმავე კორპორაციაში მდივნად მსახურებდა. „ერთობის“ ხანებში იგი ავტონომისტთა ბიუროს დიენადაც იყო არჩეული, სადაც თავჯდომარეთ იყვნენ პროფესორები ბედუენ დე კურტენე და პეტრაჟიკვი. ბ. გელოვანი მდივნად მსახურებდა. აგრეთვე პირველისა და მეორე სათათფიროს ავტონომისტთა ფრაქციაში.

აქედან თავის თავად ცხადია, რა მიმართულებისაა ბ. დეპუტატი და რა პრინციპებს დაცავს იგი სათათფიროში. იმედი გვაქვს ბ. გელოვანი არ დაივიწყებს ჩვენი ეკლესიის საჭიროებასაც და გეგეკორივით თავის თავს მის მებრძოლად არ გამოაცხადებს. სარწმუნოება ერთი უმთავრესი ბედნიერების მხარეთაგანია და თუ დეპუტატს თავის ამომრჩევლების ბედნიერება უნდა მის აღორძინებასაც უნდა ეცადოს.

ორი წერილი ლეჩხუმიდან.¹⁾

I

მამათ რეაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს ჟურნალ „შინაური საქმეებში“ ამ წერილს.

ხსენებულის ჟურნალის მეთექვსმეტე ნომერშიდ შე წავიკითხე ვიღაც ს. მღვდლისაგან შედგენილი ლეჩხუმის სამღვდლოების შენიშვნა. მ. ს. მღვდელი სწერს: „ჰაი, ჰაი, რომ მართლა არიან ჩვენში ამგვარი მღვდლები... თუ რაჰამ, როგორც ფულის მექონე ქვეყანამ მელუქნე მღვდლები წარმოშობა ჩვენ კურთხე-

ულ ლეჩხუმშიდ მღვდლების უმეტესი ნაწილი უვიცებად დასახა უკულმართმა გარემოებამ. რომ დაიარო მართელი ლეჩხუმი, სადაც 60 მრევლია, ორი მღვდლისაგან თუ გაიგონებთ ქადაგებას, თორემ დანარჩენები წირვა-ლოცვის ფორმალურად შემასრულებელნი-ღა არიან, ზოგიერთები თავ-თავის დროზედ არც იმას ასრულებენ. ამაზედ ვარესიც ხდება... და სხვა-ნი“. თუ რომ მართლაც სამოცი მღვდლებშიდ ორის მეტი არ ვარგა, დაღუპულა ლეჩხუმი! რა ღმერთი გაწყრა, რომ, თუ მთავრობამ არა, მრევლთა მაინც ვერ შენიშვნეს მათი უვარგისობა და აქნემდის ასრე თავლიათ დარჩა ლეჩხუმი! შეიძლება ამდენშიდ ორ-სამს მართლაც რამე შეეხებოდეს, მაგრამ მიტომ მართელი სამღვდლოება უნდა გაილანძლოს!! ლეჩხუმშიდ, თუმცაღა შალაი განათლების მღვდელი ერთიც არ მოგვეპოება, მაგრამ ამითი საქმე არ წამხდარა, მართლა ორიც არ არის ისრეთი უვიცი, რომ თავის თანამდებობა არ ესმოდეს. აბა შევადართ ლეჩხუმელთ სამრევლოთაგანი ვინმე უფრო განათლებულის მხრის სამრევლოთაგანს ქრისტიანულის სარწმუნოებით თუ უკან ჩამორჩება, ვისგან უნდა იქმნას ეს თუ მღვდლებისგან არა? ან ესრე ღმერთი რაფა გაწყრა, რომ სამოცი მღვდელი, ყველა უვიცნი ერთად მოხვდენ ლეჩხუმის მაზრას და თუ მოხვდა, ის მაინც ვიღაცაა, ხომ არის ყოველის მხრით შემკული უნაკლულოდ. გავხსენა სახრერების ძალა: „ესრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილენ საქმენი თქვენი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა“, და ამდენ უვიცშიდ რამოდენიმესთვის მაინც ეჩვენებია მაგალითი სიტყვით და საქმით, რომ ჩვენ გავსწორებულვიყავით, რითაც დაიმსახურებდა დიდს მადლს წინაშე ღვთისა და კაცთა. აწ მაინც გამოაცხადოს ვინაობა რომ ლეჩხუმის სამღვდლოებამ იცნოს მისი შალაი იდეა და მიბაძოს მისს ცხოვრებას.

მღვდელი იოანე თავვაძე

¹⁾ ამ ორ წერილს უცვლელად ვბეჭდავთ.

რედ.

II

შინაური საქმეების მე 16 №-შილ წავიკითხეთ: „ჩვენი სამღვდლოების ცხოვრებიდან“ მე 10 № ში ხოტვეელი სწერსო! „რაქაში ზოგი მღვდელი, მელუქნეობას და ზოგი გადაწყვერის როლს ასრულებენო! ამ გვარი სხვაგანაც იქნებიანო!“ ამაზედ აუღია შხამიანი და გერსლიანი კალამი, ვიდაც სოფ. მღვდელს და მრთელს ლეჩხუმის სამღვდლოებას აძაგებს: ცილს სწამებს, ლანძღავს და ავინებს!! სწერს (ვითომც მწერალია):

„ჰაი ჰაი რომ მართლა არიან ამგვარი მღვდლები ჩვენ კურთხეულ ლეჩხუმში, მღვდლების უმეტესი ნაწილი უვიცობათ დასახა უკულმართმა გარემოებამ; მრთელს ლეჩხუმში ორი მღვდლისაგან თუ გაიგონებთ ქადაგებას და ზოგიერთი თავის დროზე არც წირვა-ლოცვას ასრულებენო და სხვანი.“

ბ. სოფ. მღვდლო! თქვენ სადღაური ბრძანდებით?! თუ ლეჩხ. სოფ. მღვდელი ხარ ყველაზე უმფრო შენ თავს უჩივი, ლანძღავ და ავინებ - და თუ არა, გვიჩვენე ერთი შენი, წარმოთქმული მოძღვრება და ქადაგება, და თუ შენი სახელ-გვარის მოწერა გეზიზღება, მოაწერე (სოფ. მღვდელითქო). მარა აქედან სჩანს ლეჩხუმელი არა ხარ. ლეჩხუმი მაშინ დასაჯა ღმერთმა; როდესაც სვანის¹⁾ რაკველების და იმერელის ხელში ჩავარდნენ. ლეჩხ. სამღვდლოება დასაბამიდან და ეხლაც მრთელს გუბერნიაში, სხვა სამღვდლოებას უკან არ ჩამორჩენია, მაშასადამე, მრთელს გუბერნიის სამღვდლოებას ეხება ეს ცილისწამება, ლანძღვა და გინება. ლაილაშის საბლალოჩინოში 3-ი დეკანოზებია. არიან სხვებიც—უმეტესობა პატიოსანი მღვდლები ურევია.

უწინდელს დროებაში ვიდრე აქამომდე, ცაგერის ეკლესია: სამიტროპოლიტო სამღვდლო-მთავრო სობორო და მონასტერი იყო და იქიდან ყველა სამღვდლოება და ერიც ღებულობდნენ მაღლსა და კურთხევას; ეხლა სამწუხაროდ სულ სხვა სურათს ეხედავთ. ცაგერის საბლალოჩინოდან მრთელი ლეჩხ. სამღვ-

დლოება ვილანძღებით. ანდაზაა! „ცაგერი და გვეხო სვანებისა ეზო, ლუხვანო და ზარაგულა სვანებისგან დარანგულა“. ცაგერის ოლქის ბლალოჩინი და ს. ს. ზარაგულის, ოყურემის და სანორჩოს მღვდლები ერთქმანეთს უჩივიან ბ. სოფლის მღ—ო, შენ მრთელს სამღვდლოებას ლანძღავ რას გამოვლი აქედან? „მღვდლები ხორცმეტია მოვიშორეთო“ ლეჩხუმში 60-ზე მეტია მღვდლები, უადგილო თუხარ ყველას აღვიღოს შენ ვინ მოგცემს? ან რავე მოიხმარ ანა და ყველას ერთად შენ სიტყვაზე ვინ დაითხოვდა რათ არ იფიქრე?! რაქის სამზღვრიდან მენგრელიამდის 100-ი ვერსტი იქნება, (ბ. ს. მღ-ო) დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე ყველა სამღვდლოების ცუდი მარტო შენ საიღამ შეიტყვე? აქედამ მკითხველი ცხადათ დენახავს, რომ სიმცრუითაა შემოწამებული ეს ცილისწამება, ლანძღვა და გინება. გასაკვირვალა რისთვის?. ბ. ცილის მწამებლო! ხომ გაგიგონია! „ნუ განიკითხავ რათა არა განიკითხოთ ეს ლანძღვა, გინება და ცილისწამება წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალშიდ გამოვიწვევს“

ლაილაშის საბლალოჩინოს მღვდლთაგანი

ნასუხად ჩემს მკიცხავეებს¹⁾

არ იქნა ვერ მოსვენეს მტრებმა, ჯერ ფარულად მოქმედებით, მერმე წერით, ცილს წამებით. მე ჩემს დღეში მტერს არ გამოვკამათებია, აკი ეს ჩემი სიწყნარე სიძაბუნეთ მიიღეს და თანხმობის ნიშნათ გამოაცხადეს!

თუმცა ჩემი მტრების გესლის წყარო ამით მაინც არ დაშრება, მაგრამ მკითხველთა საცნობლად ჩემს სიმართლეს მაინც ვიტყვი. საქმე ასე გახდა: საბლალოჩინო კრებაზე მე წინადადება მივეცი ჩემდამო რწმუნებულ საბლალოჩინოს სამღვდლოებას, რომ ვაზეთის „შინაური საქმეების ფასი წარმოედგინათ, ერთმა-ორმა მღვდელმა საყვედური განაცხადა დებუტატებზედ, რომ ამგვარი ვაზეთი, რომელიც სამღვდლოების ლანძღვის მეტს არაფერს არ სტამბავს, სავალდებულო გამოსაწერად გაგზინდით

¹⁾ ამ წერილის პასუხი შემდეგ ნომერში.

და ისიც ისე ძვირადღეობს. ამაზედ შესაფერი ვასუხი გასცა დეპუტატმა მლ. ი. ბერაძემ და სხვათა შორის ამტყუდარ ხმაურობაში რაღაც წაილაპარაკა მლ. გ. მაღრაძემ. ისე დაწყობილი სიტყვა, როგორც დამსწრე აწერს მლ. გ. მაღრაძეს, ვფიცავ თქვენს მაღლს, არც აქ და არც სხვა კრებაში არსად არ გამოგონია, ხოლო გულში თუ რამე ჰქონდა ამის კი რა მოგახსენოთ. მართალია, არ დაფარავ, იმ პირების, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ შინაური საქმეების შინაარსისა, მეც რამოდენიმეში თანახმა ვიყავი და ვიქნები სანამდის გაზეთი ასეთი მიმართულების იქნება, მაგრამ ეს გაზეთის სრულებით უარყოფილას ნიშნავს? უსამართლო, უსაბუთო და გადამლამაზებელი ლანძღვა სამღვდელდებლობას საერო ჟურნალ გაზეთებიდანაც ეყოფა, ეხლა ამას „შინაური საქმეებიც“ მიემატა და სამღვდელდებლობას მიწასთან გასწორებას უპირებენ. „ნუ იქ ავს, ავისაც ნუ გეშინიაო“, მარტობენ ჩემი მოწინააღმდეგენი. ჩემ მოწინააღმდეგეთა ზედმეტი „ავი“ მე ჩემს ღღეშიდ არ ჩამიდენია. მაგრამ მაინც ვიტყვი „ბევრი იში-იში ხარსაც გადარევს“ო, შეიძლება არც გადარიოს ისე მიეჩვიოს, რომ არამც თუ „იში“, იქნებ სახრც არაფრად მიიჩნიოს.

მ. ვაშაძე ამბობს: ჩვენზე მონღოლილი ხალხი და სამწყსო ხშირად გვისაყვედურებენ-ლანძღვა გინებით, რომ მღვდლები არას აკეთებენ სოფელშიო; ჟურნალ გაზეთებს არ იწერენ, არ ჰკითხულობენ, არ ვითარდებიან და სხვა და სხვა... მერე ამას ვინ ჩადის და როგორ დროს მეოცე საუკუნეში. როდესაც ყველა კულტურის გზას ადგია“ო.

აფსუს ფრაზებო! დაილუბა საქართველო მთელი კაცობრიობის კულტურა! არა მკითხველო? შინაური საქმეების სიძვირე უთქვამსთ და მისი შინაარსი დაუწუნებიათ, კულტურას ძირი გამოთხრია! საიდან სადაო წმიდა საბაო! ვინმე რომ რომელიმე ჟურნალის ან გაზეთის მიმართულება დაიწუნოს, მისი გამოსაწერი ფასიც იძვიროს, განა ეს მთლად ჟურნალ გაზეთების უარყოფა იქნება? ან მეტყვიით: ქართველ სასულიერო წოდებას ამ ერთად ერთი

ჟურნალის მეტი არ გვაქ და მაგაზედაც ცუდი როგორ ითქმისო. ესეც უმართებულოა, კაცს ერთად ერთი შვილი ჰყავდეს და ბოროტებას ხშირად ჩადიოდეს, განა მხოლოდ მობილობისათვის არ უნდა დაარიგონ და დაისაჯოს?

ამბობენ: ნაკლი და დანაშაულობა უნდა გამოქვეყნდეს, გამომზიურდეს და ამით გასწორდებიანო. ჯერ ერთი, რომ ეს საშუალება არც ისე უებარია და მეორე ერთად ერთი ქართული სასულიერო ორგანო გვაქ და ისიც კვირეული ხან ორკვირეულიც და რაღაც თექვსმეტ გვერდამდე და ესეც რომ ჩვენ ნაკლებლოვანებაზედ წერით ავაშსოთ, სხვა გონების მასალა სადღა ვეძიოთ. ნუ თუ ეს გაგვავეითარებს, აგვაშაღებს ხალხის თვალში, ნუ თუ ამაშია, ვკითხვავთ მ. ვაშაძეს კულტურის შთანასახი? ეს იყო ასე საყაყანოთ გამხდარი ამბავი, მკითხველო, და რა არის ამ ჩემ მოქმედებაში და სიტყვებში სასირცხო? სასირცხო მე ჩემ ღღეში არა ჩამიდენია რა, არც არავისათვის დამიშლია ჟურნალ გაზეთების გამოწერა და თუ რამ ითქვა, ამგვარი ითქმის ხოლმე, სამღვდელდებობის კრებაზედაც, შესახებ რუსულ სასულიერო იძულებით გამოსაწერ ჟურნალებზედ, მაგრამ ასეთი ცილი როგორც მე მწამებენ, მათთვის არავის დაუწამებია. ამით ვათავებ ჩემ მოწინააღმდეგებთან ბაასს.

ბლ. მლ. დ. სუხიაშვილი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟავლიაძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ჩვენის უკაფი. (ქურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ უამად ძმობის უკაფი ბ. ი. კვიციანიძის ქურნალ-გაზეთების კანტორაში იმეკონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

- 1) მხედრული სახარება სამოციქულოთი და დავითნით დიდი და პატარა ფორმატისა.
- 2) საგალობლები.
- 3) სიბრძნე ბალაგარისა.
- 4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
- 5) ცხოვრება წმ. მსს. თეკლასი.
- 6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
- 7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
- 8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
- 9) — წმ. უვეცხო მკურნალისა პანტელეიმონისა.
- 10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
- 11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
- 12) ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა.
- 13) ხორციელად დაფლვა ქრისტესი და შთასვლა ჯოჯობხეთში.
- 14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
- 15) — ისე წილენელ ეპისკოპოსისა.
- 16) მანანა
- 17) ცხოვრება წმ. ევსელნისა.
- 18) ცოდქმრობა.
- 19) ფილოსოფოსი სოკრათი.
- 20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
- 21) წამება წმ. მარინესი.
- 22) ცხოვრება წმ. იაკობ დაქრილისა.
- 23) ცხოვრება ალექსი ღეთის კაცისა.
- 24) — თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა.
- 25) — ბრძნული სიტყვები.
- 26) — წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.
- 27) წამება წმ. რაედენისა.
- 28) ოქროს წყარო.
- 29) რჩეული სიტყვები.
- 30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.

- 31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
- 32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
- 33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
- 34) ნოტების სახელმძღვანელო.
- 35) კარგი ყველგან კარგია.
- 36) ენის გაჩენა.
- 37) მესამე ოქრო.
- 38) ბუნება და ადამიანი.
- 39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
- 40) ერთი ღამე აკლდამაში.
- 41) ახალი აღთქმის საღეთო ისტორია.
- 42) გზა ცხოვრებისა.
- 43) კაიაფას ვაჟიშვილი.
- 44) პროფ. მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე.
- 45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
- 46) ქრისტე ღმერთია?
- 47) ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.
- 48) წყარო ურწმუნოებისა.
- 49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
- 50) სამი მცნება.
- 51) მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
- 52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
- 53) არა კაც კლა.
- 54) პატარა ქრისტიანი.
- 55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
- 56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
- 57) სიკვდილი მართლისა.
- 58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
- 59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
- 60) მებაღე ფოკა.
- 61) პატარა ქრისტიანი ანუ საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
- 62) წამება წმიდისა მღმწ. ვლასისა.

ქ. ქუთაისი, სტამბა „ძმობა“ კახაკოვის შესახვევში სახლი № 17